

# მოთხოვნები იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის სამეცნიერო შრომებში დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიის გაფორმებისათვის

1. სტატიის სამეცნიერო მიმართულება/დარგი.
2. ავტორის (ავტორების) სრული სახელი და გვარი (**bold**) შრიფტის ზომა **14**
3. სამუშაო ადგილი (ორგანიზაციის დასახელება და ავტორის (ავტორების) სამეცნიერო ხარისხი/თანამდებობა), ზომა **12**
4. ერთი ინტერვალის გამოტოვებით შემდეგ სტრიქონზე სათაური (**bold**) შრიფტის ზომა **14**
5. აბსტრაქტი (**abstract**)
  - ❖ ქართულ ენაზე შესრულებულ სტატიას დაურთეთ **აბსტრაქტი** ინგლისურ ენაზე;
  - ❖ რუსულ ენაზე შესრულებულ სტატიას ქართულ და ინგლისურ ენაზე;
  - ❖ ინგლისურ ენაზე შესრულებულ სტატიას ქართულ და რუსულ ენაზე.

**აბსტრაქტი (abstract)** უნდა იყოს:

- ინფორმაციული (არ შეიცავდეს ზოგად ფრაზებს);
- შინაარსიანი (ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს);
- სტრუქტურირებული (მისდევდეს სტატიის ლოგიკას - შესავალი, მიზანი, ამოცანები, მეთოდები ან მეთოდოლოგია, შედეგები, შედეგების გამოყენების სფერო, დასკვნა);
- დაწერილი უნდა იყოს ხარისხიანი ქართული/ინგლისური/რუსული ენით
- კომპაქტური (შეიცავდეს **150-დან 250** სიტყვამდე).

**აბსტრაქტი (abstract)** უნდა გადმოსცემდეს სამუშაოს არსს და გასაგები იყოს მკითხველისათვის თვით პუბლიკაციის წაკითხვის გარეშე. იგი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მასალას, რაც არ არის პუბლიკაციის ძირითად ტექსტში.

**აბსტრაქტის (abstract)** ტექსტი უნდა იყოს ლაკონური და მკაფიო, თავისუფალი ზედმეტი სიტყვებისაგან, გამოირჩეოდეს ფორმულირების დამაჯერებლობით.

6. სტატიის **საკვანძო სიტყვები** ქართულ და ინგლისურ ენებზე.
7. ტექსტის/მოხსენების მოცულობა **4-8 გვერდი** ფორმულების, ცხრილებისა და სურათების ჩათვლით
  1. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს **A4** ფორმატის ქაღალდზე ტექსტურ რედაქტორ **word-ში**
  2. **სტრიქონებს შორის ინტერვალი -1 (Single)**
  3. აზვანი - **1 სმ**
  4. გვერდითი არეები: **20 მმ. (File, Page Setup, Margins)**
  5. ზედა და ქვედა არეები: **20-20 მმ.**

6. ფონტი ქართული ტექსტი - სილფაინი, ზომა 12  
რუსული - *Times New Roman*, ზომა 14  
ინგლისური/ლათინური - *Times New Roman*, ზომა 12
7. ბრჭყალები ქართულ და ინგლისურ/ლათინურ ტექსტში გამოიყენეთ ნიმუშით („“), რუსულ ტექსტში («»)
8. ტექსტში გამოიყენეთ ტირე (-), ხოლო სიტყვათა შიგნით დეფისი (-)
9. სტატიაში ავტორთა გვარები გამოიყენეთ ნიმუშის მიხედვით: **შანიძე, 1953; Пушкин, 1821; Chomsky, 1998**
10. ლიტერატურა: ზომა 10. სტატიის ბოლოს ანბანზე განალაგეთ გამოყენებული ლიტერატურა შემდეგი ნიმუშით:
  - **წიგნის ციტირების დროს:** გვარი, ინიციალი. (გამოცემის წელი). დასახელება. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა.  
*მაგალითად:* შანიძე, ა. (1953). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I მონოგრაფია. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
  - **სტატიის ციტირების დროს:** გვარი, ინიციალი. (გამოცემის წელი). სტატიის სათაური. ჟურნალის დასახელება, ჟურნალის ნომერი: სტატიის პირველი და ბოლო გვერდი.  
*მაგალითად:* რამიშვილი, ვ. (1947). ენის სიწმინდისათვის. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 4: 25-45.

- ❖ ერთი და იგივე ავტორისაგან ორზე მეტი სტატია არ მიიღება;
- ❖ ერთ სტატიაში დასაშვებია არა უმეტეს ოთხი ავტორისა;
- ❖ მიღებული სტატიის გასწორებული ვერსია ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება;
- ❖ სარედაქციო კოლეგია არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული;
- ❖ სტატიების შინაარსზე, მათში მოყვანილ შედეგებზე და დასკვნებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს.

ქართული და ინგლისურენოვანი სტატიები გადმოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე - [ketevan.shashviashvili@tesau.edu.ge](mailto:ketevan.shashviashvili@tesau.edu.ge)

რუსულენოვანი სტატიები - [iashiukashvili@yandex.ru](mailto:iashiukashvili@yandex.ru)